# სახალხო გაზეთი

№ 578 ხუთშაბათი, 19 აპრილი, 1912 წ. № 578

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართ... „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## „სახალხო გაზეთის“

რედაქცია ამით აცხადებს, რომ დაუბეჭდავ ხელთ-ნაწერების შესახებ ავტორებთან არავითარ მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდაც საპასუხოდ მარკაც იყოს გამოგზავნილი. დაუბეჭდავი ხელთ-ნაწერები არ ინახება. რედაქცია.

კვლავ ვაცხადებთ, რომ „სახალხო გაზეთს“ ფულის მიღების უფლებით, არავითარი აგენტი არსად არა ჰყავს, გარდა წ.-კ. საზ. მთავარ მაღაზიისა, და ამიტომ პასუხსაც არავის წინაშე არ აგებს.
„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

## 1912 წ. სახალხო გაზეთი 1912 წ.

სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს **გრდემლს.**

1 აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

**არსენ ვასილის ძე და ლიზა სვიმონის ასული მჟავანაძეები და შვილები მათი: ლავროსი, სევერიანე, შალვა, გრიგორი და თამარა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მეორმოცე დღეს იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულ პირველ ორის საყვარელ ასულისა და დანარჩენების დაუვიწყარ დის

ანტისა არსენის ასულის მჟავანაძის

(დაბადებიდან 18 წლისა) სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დანიშნულია დ. ლაილაშის ეკლესიაში 25 აპრილს. (1—1272—1)

**ახალი კლუბი**

შაბათს, 21 აპრილს 1912 წ. **4-ე სიმფონიური კრება**

**ს. ი. პრესმანის** ლოტბარობით. მონაწილეობას მიიღებს გამოჩენილი არტისტი მესკრიპკე

**იაროსლავ კოციანი**

ასრულებულ იქნება: იტალიური სიმფონია № 3 A moll — მენდელსონისა, კონცერტი სკრიპკისათვის ჩაიკოვსკისა, ჩსონნა—ბახისა და სტენკა რაზინი გლაზუნოვისა. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს. ადგილების ფასი: პარტერში 2 მ. 20 კ.-დან 60 კ.-მდე; გალერეაში 60 კ.-დან 25 კაპეიკამდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

**ანონსი:** ოთხშაბათს, 18 აპრილს **ჩვეულებრივად** იქნება **სინემატოგრაფი.** (3—1192—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი** (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირაძლოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირაძლოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $11^1/_2$—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—$2^1/_2$.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ წამლის შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—10...—316)

## ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება

თავის საშუალების გასამლიერებლად (2.1211.1)

**მაისის პირველ რიცხვებში მართავს სეირნობას ბაზრით.**

სტამბა „**ბეჭდვითი საქმე**“ ბ. კილაძისა

1912 **წლ. 1 მაისამდე** მართავს ხელის მოწერას ცნობილ **მსოფლიო პოეტის**

## ჰენრიხ ჰეინეს

**რჩეულ ლექსებზე. ✦ ქ. ო—ლიას თარგმანი.** ✦ წიგნს დაერთვის წინასიტყვაობა, **ჰეინეს ბიოგრაფია**, სურათი და კარლ მარქსის მოგონება ჰეინეზე, წიგნი დახლოვებით გამოვა 200 გვერდამდე მოზრდილი ზომის, დაიბეჭდება კარგ ქაღალდზე; ყოველივე ღონეა მიღებული, რომ გამოიცეს შნოიანად და ეღირება **60** კაპ. ხელის მომწერლებისათვის, ხოლო არა ხელის მომწერლებისათვის დაბეჭდვის შემდეგ წიგნი ეღირება **ერთი** მან. **წიგნი ხელის მომწერლებს დაურიგდებათ მაისის დამლევს.** ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში: გაზ. „თემის“ რედაქციაში, წ.-კ. საზოგადოების წ. მაღაზიაში, ბ. კილაძის სტამბაში ველიამ. 6, ზუბალაშვილების სამკითხველოში, მარო რამიშვილთან, მარო ყღენტთან, რახილი კალანდაძესთან, ფილიპე მგელაძესთან. **ქუთაისში:** ის. კვიცარიძესთან, **ბათუმში:** გრ. სოლოროვთან, გ. თავართქილაძის სტამბაში, **ფოთში:** ანტონ ყღენტთან, გერმანე იმნაიშვილთან, **ჭიათურაში:** ალ. მითაიშვილთან, **გურიაში** ემელიანე ლომთათიძესთან, ფული და წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Типографія В. Киладзе Вельяминовская № 6. (6.373-3)

**ქუთაისში**

**ახალ ჭურჭლეულ-ავეჯეულობის მაღაზიაში**

## ფ. ს. ფილიპპოვისა

ალექსანდროვ. ქ., ზ. კოკოჩევის შენობაში, ელექტრო-თეატრი „თამარის“ გვერდით.

**საზოგადოების სურვილით**

**გრძელდება იშვიათი იაფ-ფასიანი ვაჭრობა**

**აპრილის დამლევამდე.** ფასები ნაღდზედ და შეუვაჭრებლად.

(25.1187.1) პატივისცემით **ფ. ს. ფილიპპოვი.**

ქუთაისი

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების

## ვერის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

გადავიდა ახალ ბინაზე: არამიანცის ქარვასლაში, ოლგის ქუჩაზე, № 29. ღიაა დილ. 10—2 საათ. და საღ. 6—8 ს. კვირა-უქმ.: დილ. 11—1 ს. ბიბლ.-სამკ. არის ყველა ქართული წიგნი და ჟურნ.-გაზ. მოსწ. და მუშათ. თვიური გადასახადი 10 კაპ. (10—1207—4)

**საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ გაიხსნა ახალ პატრონთა ხელში გადასული**

## კაფე-პარიზი

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

**ღია იქნება ღამის 2 საათამდე**

11—1 საათ. ✦ 1—5 ს. ✦ 5—2 ს.
**საუზმე**—30 კ. ✦ **სადილი.** ✦ **ვახშამი**—30 კ.

**ყოველ დღე:** ღომი დოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი **ბილიარდები გოცისა.** საჭმელებს სახლებშიაც ვამლევთ თვიურად, დიდის შეღავათით. (თ.—113—34)

## ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

**ყურადღება მიაქციონ**

**ახლად გამოსულ პაპიროსებს**

## „ირის“

25 ცალი 15 კ. ⅌ 10 ც.—6 კ.

**საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,** ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

**ყველგან იყიდება.**

თამბაქ. ქარხანა

## „ძმ. სეილანოვები“.

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.23)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, **№ 10.** ტელეფ. 792. (თ.100—1534—204)

**ქუთაისი**

შუაგულ ქუთაისში, „**მწვანე ბაზარში**“, **ახლად გაიხსნა**
**ლამაზად გაკეთებული და მორთული**
**პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო**

## „ბრისტოლი“.

მშვენიერი ფოიეთი, სამკითხველოთი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია **საუკეთესო სამზარეულო**, სადაც მზადდება ყოველ დღე **ახალი გემრიელი საჭმელები.**

**ფასები ზომიერია.** ქუთაისი (25.1194.6)

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედის ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—19)

**ექიმი კბილისა არჩილ** (გიორგი) ბ-ძე **დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 166. (25.1179.19)

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., **№** 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. **№** 12 ს. (9—74.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ., **№** 1.

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—74)

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. **№** 18, თავ. ვაჩინაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 148)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20 (წ.—1022—36).

ი. გედევანიშვილის

## „გამცემი“,

3 მოქმ. დრამა.

**დაიბეჭდა ცალკე წიგნად და იყიდება** 25 კ. ქართულ წიგნის მაღაზიებში. (10.1312.2)

**გამოვიდა და იყიდება**

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

**სალიტერატურო კრებული**

## „გრდემლი“

**ფასი 1 მ. 50 კ.** (თ.1098.60)

## შპალიერი

## ძმ. ტარნოპოლთა

**ქარხნისა.**

**ტფილისის განყოფილება.**

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., ტელეფ. № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.9)

## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 282)

**გამოცდილმა**

## მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის. **აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო** და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. Входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову). (თ. 1084.140)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქუჩაზე, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.
**პროფ. ხუბბოტინი.** ქირურგ. ავად. ორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერით.
**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
**ბოჟოვსკი.** ორშ., ოთხშ., პარასკ., კვირ. 4—5 საათ.
**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე $9^1/_2$ სათ. 11 ს.
**მონხე.** ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. $1^1/_2$—3 საათ.
**ნოვიცკი.** ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.
**კალამკაროვი.** ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.
**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
**რიდელი.** შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.
**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—1 საათ.
**ბალდინა-ნოვიცკაია.** ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.
**რუდენკო.** შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
**ვეზელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.
**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—$1^1/_2$ ს.
**იოსელიანისა** ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
**ბაგდოევისა,** კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.
**ლიმონი.** კბილ. 10—11 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ. 1032—77).

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. **№** 8. ტელეფონი **№** 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს,
**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
**ბ. ა. ბოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 $11^1/_2$.
**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით**

(წლ.—1018—254)

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, **№** 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.93).

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., **№** 39, ტელეფონი **№** 1067) (100—1117—141.

# ტფილისი, 19 აპრილი

**სათათბირო და ჩვენი ქვეყანა.** მას შემდეგ რაც, წინააღმდეგ ძირითად კანონებისა, მთავრობამ საარჩევნო სისტემა შესცვალა და უპირატესობა მიწად-მფლობელთა კლასს მიანიჭა, სახელმწიფო სათათბირომ, როგორც საზოგადოებრივ აზრის გამომხატველმა და საკანონმდებლო დაწესებულებამ, თავისი მნიშვნელობა დაჰკარგა. ვერც ერთი თვალსაჩინო კანონ-პროექტი ვერ განახორციელა. სათათბიროს ხელმძღვანელი პარტია, ოქტომბრისტები, ისევე გაურბის ძირითად რეფორმებს, რომელთაც შეუძლიასთ უფლებრივი წესი დაამყარონ რუსეთში, როგორც თვით მთავრობა. თუ ხანდახან სათათბირო ცოტაოდენ ინიციატივას მაინც გამოიჩენს ხოლმე, სახელმწიფო საბჭო ჩაუდგება კრიჭაში და თავის უმოწყალო ხელით აჩრჩობს სათათბიროდან გასულ კანონ-პროექტს. მოიგონეთ რა უყო საბჭომ პირველ-დაწყებითი სკოლების კანონ-პროექტს. თავისი დადგენილებებით საბჭომ ყოველივე ფასი დაუკარგა სათათბიროს მიერ მიღებულ კანონ-პროექტს, თუმცა თავის-თავად თვით ეს კანონ-პროექტიც დიდს არას წარმოადგენდა. ასეთივე ბედი ეწვია სხვა კანონ-პროექტებსაც. სახელმწიფო სათათბირომ სასარგებლოდა სცნო საქალაქო თვითმმართველობის შემოღება ყარსში, საბჭომ კი უარჰყო. შეუძლებლადა სცნო საბჭომ საერობო თვითმმართველობის შემოღება ციმბირში დ მრავალ სხვა ადგილებში. ამ რიგად, რასაც ძუნწი სათათბირო იმეტებდა, იმას საბჭო არ აძლევდა გასავალს. ძირითადი რეფორმების ბედი მოექცია მოჯადოებულ წრეში, და ეს მოჯადოებული წრე, რაც დრო გადის, უფრო კოტრდება. ამისთანა პირობებში, რა თქმა უნდა, სახელმწიფო სათათბიროზე დიდს იმედებს ვერ დავამყარებთ. იგი მკვდარი დაწესებულებაა, რომელიც ვერავითარ მალამოს ვერ დასდებს ჩვენს მწარე იარებს. ეს იმდენად ცხადია ყველასათვის, რომ კამათსაც კი არ იწვევს პრესაში.

სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს ეს თვისება არ უნდა გვავიწყდებოდეს მაშინ, როდესაც მომავალ არჩევნებზე ვლაპარაკობთ. შემცდარი იქნება ის ამომრჩეველი, რომელიც იმედს იქონიებს, რომ სათათბიროში ჩვენი დეპუტატი რაიმე თვალსაჩინო რეფორმის განხორციელებას მოახერხებს. არამც თუ ორიოდ-სამიოდე დეპუტატი, სათათბიროს მთელი ოპოზიციაც კი უძლურია გავლენა იქონიოს ჯერ სათათბიროს ხელმძღვანელ პარტიაზე და მერე ისეთს დაწესებულებაზე, რანაირიც სახელმწიფო საბჭოა. ჩვენში ბევრია ჯერ კიდევ ისეთი გულუბრყვილო ამომრჩეველი, რომელსაც ჰგონია, რომ თუ სათათბიროში პატარა საქმეების ფილოსოფიით გაჟღენთილი კაცი გავგზავნეთ, იგი განახორციელებს საქართველოსთვის საჭირო რეფორმებსაო.

სრულიად უნიადაგო და უსაფუძვლო იმედებია. მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს მაინც შეუძლიან დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს ქვეყანას. რაც უნდა იყოს, იგი მაინც ერთად-ერთი დაწესებულებაა, სადაც დეპუტატის თავისუფალი ხმა გაისმის, იგი პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზია. საქართველოდან გაგზავნილ დეპუტატებს ეს კარგად უნდა ჰქონდეთ გათვალისწინებული, სათათბიროს ტრიბუნით უნდა ისარგებლონ და საქართველოს საჭირ-ბოროტო საკითხებს ახალი შუქი მიაყენონ. ქართველების მიერ გაგზავნილი დეპუტატები პატარ-პატარა საქმეების მოტრფიალენი კი არ უნდა იყვნენ, არამედ ისეთნი, რომელთაც შეუძლიანთ ყოველ საკითხს ფართო პოლიტიკურის თვალსაზრისით შეხედონ. აი ის პირველი და აუცილებელი მოთხოვნილება, რომელიც უნდა წარუდგინოს ამომრჩეველმა ჩვენს მომავალ დეპუტატებს.

# სახელმწიფო სათათბირო

## დეპეშები

**თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.**

კითხულობენ განსახილველ საგანთა სიას.

**ლერხე** კითხულობს შემთანხმებელ კომისიის აზრს სამეურნეო იარაღზე ბაჟის დაკლების კანონ-პროექტის შესახებ.

კანონ-პროექტი შემთანხმებელ კომისიის რედაქციით მიიღეს.

განაგრძეს კამათი განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის გამო.

**მასლენიკოვი.** ხარჯთ-აღრიცხვის გარეგან მხრეს თუ მიაქცევთ ყურადღებას, შეიძლება მოგეწონოთ კიდეც და დაკმაყოფილდეთ, მაგრამ საქმეს თუ დავაკვირდებით, სხვას აღმოვაჩენთ, შეიძლება პოეტის სიტყვების გამეორება: „бывали хуже времена, но не было подлѣй (ამაზე ცუდი დრონებაცა ყოფილა, მაგრამ ამისთანა გათახსირებული კი არაო).

**ტიჩინინს** საჭიროდ მიაჩნია დასავლეთის მხარეში შემოღებულ კანონის გაუქმება: ნება არავის უნდა მივცეთ თავის დედა-ენის საშუალებით ისწავლონ სამღრთო სჯულიო. აგრეთვე საჭიროდ მიაჩნია სხვა და სხვა ადგილებში სასწავლებელთა გახსნაო.

**სოლტუზი** მოითხოვს, ბესარაბიის გუბერნიაში სკოლების ანორმალ მდგომარეობას ყურადღება უნდა მივაქციოთო.

**მაჰმუდოვს** საჭიროდ მიაჩნია უფაში საოსტატო სემინარიის დაარსება.

**ქსენძი მაციევიჩი** პროტესტს აცხადებს ტიჩინინის წინააღმდეგ. ხალხი რა ენის საშუალებითაც მოინდომებს სამღრთო სჯულის სწავლებას, იმ ენის საშუალებით ასწავლიან და სამღვდელოება ძალად ვერაფერს მოახვევს თავზე ხალხსაო. მაციევიჩი აღნიშნავს: დასავლეთის მხარეში იდევნება იდუმლად სწავლება, როდესაც კანონი მხოლოდ იდუმალ სკოლებს სდევნის. მთავრობა კი იდუმალ სკოლას ეძახის ყველას, სადაც ორი-სამი ბავშვი უნახავს. და ბოლოს ამბობს, სათათბირო დიდს საქმეს გააკეთებს, თუ დაადასტურებს სამღრთო სჯულის დედა-ენის საშუალებით სწავლების უფლებასა და გაახარებს სხვა სარწმუნოების ერთაო.

**მღვდ. იურაშკევიჩი.** ქსენძი მაციევიჩი და პოლონელები გვატყუებენ. როდესაც პოლონელების თაობაზე ლაპარაკობენ, ჰგულისხმობენ ბელორუსებს, რომელთა გაპოლონება სწადიანთო. მოლაპარაკეს ძლიერ მავნებლად მიაჩნია საიდუმლო სკოლები და მთავრობას ურჩევს, მედგრად უნდა ებრძოლოო (მემარჯვენეების ტაში).

**ნიკოლსკი** აღნიშნავს ოდესის უნივერსიტეტის უმწეო მდგომარეობას, რომელსაც დაუკარგავს პროფესორები, სტუდენტები და ფულიო და საჭიროდ მიაჩნია საქმის გამოძიება.

**ლიახნიცკი** ლაპარაკობს გიმნაზიათა რევიზიის ცნობათა მიხედვით და აღნიშნავს საშუალო სასწავლებლებში გამეფებულ საქმის არევ-დარევას.

**ჰაიდაროვი** ლაპარაკობს კავკასიის მაჰმადიანთა განათლების მდგომარეობის თაობაზე. თუ სათათბიროს ჰსურს მაჰმადიანებმა რუსის სკოლაში იარონ, უნდა სამღრთო სჯული არაბული ანბანის საშუალებით ასწავლოსო.

**ეპისკ. ევლოგიმ** სათათბიროს გააცნო ახალ ალექსანდრიის სამეურნეო-სატყეო ინსტიტუტის მდგომარეობა: ძველ შენობაში მოთავსებული, სწავლებაც ცუდად არის დაყენებულიო.

**გოდნევი** აღნიშნავს: ყაზანის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბევრი მასწავლებელი გადაიყვან-გადმოიყვანა, საჭიროა მინისტრმა აგვიხსნას, რა კანონის ძალითაო.

**ვონოლოშნიკოვი.** ბაიკალის იქითა მხარე მეტად ცუდ მდგომარეობაშია. არც სკოლები გაჩნია, არც წერა-კითხვის ცოდნაა გავრცელებულიო.

კამათი შესწყვიტეს. გადასწყვიტეს პარასკევ საღამოს გამართონ სხდომა ჯარისკაცთა და აფიცერთათვის პენსიის კანონ-პროექტის განსახილველად. შემდეგი სხდომა ოთხშაბათს მოხდა, განსახილველი იყო ხოლმშჩინის კანონ-პროექტი.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**ტფ. გუბერნატორი.** ა. გ. ჩერნიავსკი ავად გახდა. მის თანამდებობის აღსრულებას ვიცე-გუბერნატორი ე. ნ. პანოვი შეუდგა.

**განჯის გუბერნატორი.** გ. ს. კოვალიოვი ტფილისში ჩამოვიდა.

**„თეთრის ყვავილის“ გაყიდვა.** ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიამ ტრამვაის დირექტორს ა. ე. ბელლის სთხოვა, ნება დართეთ „თეთრის ყვავილის“ (გვირილის) გამყიდველთ, 20 აპრილს ტრამვაით უფასოდ იმოგზაურონ ყვავილების გასასყიდადაო. დირექტორი შეჰპირდა, შესაფერს ნებართვას ბრიუსელიდან გამოვითხოვო.

**ავტომობილები.** ხმოსანმა ა. თ. ფრიდონოვმა ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანა, რომლითაც წინადადებას აძლევს ავტომობილების მოძრაობა მოაწესრიგოს, ნიხრი დააწესოს და შოფერებისთვის საგანგებო ფორმა შემოიღოს.

**„თეთრის ყვავილის დღესასწაულის“** დღეს ქალაქში ივლის მრავალი ეტლი, ყვავილებითა და გირლიანდებით მორთული. ეტლები შეიკრიბებიან მუშტაიდთან და იქიდან წამოვლენ მიხეილის ქუჩასა, ნიკოლოზის ხიდსა, ბარიატინსკის ქუჩასა, გოლოვინის პროსპექტსა, სასახლის ქუჩასა და ერევნის მოედანზე. აქედან უკან გაბრუნდებიან.

17 აპრილს, ღამით, **უეცრად გარდაიცვალა** „ლონდონ“-ის სასტუმროში მე-13 ლეიბ-გრენადიორთა ერევნის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი მიხეილ ალექსანდრეს ძე შლიტტერი.

ტფილისში **წყალდიდობა** მოსალოდნელია. ამიტომ რიყეზე, სადაც მცხოვრებნი შიში მოელით, გამართულ იქმნა ახალი სადგური, სადაც დადგმულია ოთხი ნავი.

**ა. ნ. გორჩაკოვი,** რკინის გზების მთავარი ინსპექტორი, ტფილისში ჩამოვიდა.

**ჟურნალი „განათლება“.** რედაქციამ მიიღო სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ „განათლების“ აპრილის (4) ნომერი. შინაარსი: 1. ბავშვის ასაკის ფსიხოლოგია - ექიმ. მიხეილ გედევანიშვილისა. 2. ვილიამ ჯემსი, საუბარი ფსიხოლოგიაზე, დ. ო—ძისა. 3. ჰიგიენა. ილ. ალხაზიშვილისა. 4. მოკლე საუბარი ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან ექ. ევგ. ლოსაბერიძისა. 5. ვახტანგ ორბელიანი და მისი პოეზია ილ. ფერაძისა. 6. როგორ გაჩნდა ქვეყანაზე ქამბი. ი. ევდოშვილისა. 7. ოცნება და სინამდვილე (ფანტაზია ორ სურათად) დ. თურდოსპირელისა. 8. გაზრწნილი მოთ. მიხ. ბოჭორიშვილისა. 9. მარტოობა—ვაჟა-ფშაველასი. 10. „უკვდავია სუყველა“ (თარგმანი) მესხი ვ. მიქელაძისა. 11. სიზმარი—კიკნა-ფშაველასი. 12. ტყვე (ესკიზი) ბაირონაშვილისა. 13. შინაური მიმოხილვა. 14. რუსეთი, სახალხო სკოლის მასწავლებელთა საპენსიო კასსა. 15. მოწოდება ლადო ბზვანელისა. 16. წერილი რედაქციის მიმართ, სამრევლო სკოლების საბჭოს საყურადღებოთ დ. ლ—სა. 17 ბიბლიოგრაფიები. 18. განცხადებანი.

17 აპრილს ტფილისში 48 უპასპორტო შეიპყრეს.

გუბერნატორმა ნება დართო **იაგორ (ლუარსაბ) იაგორის ძე ბარბაქაძეს,** რომ საზოგადოებას გაზეთის საშუალებით მიჰმართოს დახმარებისათვის. ბარბაქაძე დასახიჩრებულია. იგი წვრილშვილის პატრონია და ყოვლად უმწეო მდგომარეობაში იმყოფება. ყოველგვარი დახმარება უნდა გაიგზავნოს შემდეგის **მისამართით: ანდრეევის ქუჩა № 76** ობერ-კონდუქტორ ამაშუკელის ბინაზე.

### საზოგადოებანი და კრებები

**საიურიდიო საზოგადოების** კრება 20 აპრილს, საღამოს 8 საათზე მოხდება ოლქის სასამართლოს შენობაში.

**ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისიის** კრება 20 აპრილს მოხდება. კომისია განიხილავს საკითხს წალკის წყალ-სადენის შესახებ და პროექტს ქალაქის განათების ხელ-შეკრულობისას, რომელიც დადებულ უნდა იქმნეს ქიროს და კომპ. ფირმასთან.

კვირას, 22 აპრილს, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია პირველი **კრება ტფილისის ნოქართა და კანტორებში მოსამსახურეთა** საზოგადოებისა. კრება განიხილავს შემუშავებულ წესდებას, რომელიც შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინება სადაც ჯერ არს.

**ბუნების მოყვარულთა საზოგადოების** კრება დღეს, საღამოს 8 საათზე მოხდება პირველ საკომერციო სასწავლებლის შენობაში (19 თებერვლის ქუჩა, 2).

**ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების** საბჭოს კრება დღეს მოხდება მიმდინარე საქმეთა განსახილველად.

**ახალი საზოგადოება.** ტფილისში არსდება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების ს[illegible] წესდების შესამუშავებლად 22 აპრილს, დილის [illegible] საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში კრება ექნებათ.

### სასამართლო

**ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** შულავერს გაემგზავრა სისხლის სამართლის საქმეთა განსახილველად.

**სისხლის შერევა.** ტფ. ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა სურამის რაიონის გამომძიებელს მიწერილობა გაუგზავნა, რათა შეეპყრო და გორის ციხეში გაეგზავნა სურამისავე მომრიგებელ სასამართლოს ბოქაული მუსტაფა-ბეგ ალაევი, რომელსაც ბრალად ედებოდა საკუთარ ქალიშვილთან სქესობრივ კავშირის დაჭერა. როგორც გავიგეთ, ბოქაულს ალაევს ამ მოწერილობის გაგებისთანავე თავი მოუწამლავს.

### სომეხთა ცხოვრება.

აპრილის 21-ს, მოხდება წლიური კრება კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა. დაისწრებიან საზოგადოების განყოფილებათა წარმომადგენელნიც.

სომეხთა საზოგადოებას „ბეღლუს“ ავლაბარში გაუხსნია შრომის სახლი, სადაც მუშაობს 80 ქალი, საზოგადოება მომუშავეთათვის ამ ახლო ხანში გახსნის საღამოს კურსებს წერა-კითხვის ხასწავლებლად.

კვირას, 22 აპრილს, ქართულ თეატრში გაიმართება წარმოდგენა კავკასიის სომეხ მასწავლებელთა საზოგადოების სასარგებლოდ.

„ახალ ბაიაზეთის სომხის საზოგადოებას დაუდგენია დეპუტაცია გამოგზავნოს „მშაკის“ 40 წლის იუბილეის მოსალოცავად და მის ფონდისათვის ფული გადასდოს.

აპრილის 15-ს აგრონომები ალ. ქალანთარი და ა. ფირალოვი თემირ-ხან-შურას გაემგზავრენ დაღესტნის სოფლის გამოფენაზე დასასწრებლად.

პეტერბურგის სომხის საზოგადოებას დაუდგენია სომხურ ბეჭდვითი სიტყვის 400 წლის შესრულების გამო ფონდი დაარსოს. არჩეულია კომიტეტი ამ მიზნით, რომელშიც შედიან პროფესორები ნ. მარრი, ნ. ადონცი, ვართანიანი და სხვანი.

ეჩმიაწინიდან იტყობინებიან, რომ კათოლიკოსი გევორქ მეხუთე პეტერბურგს გაემგზავრება მაისის 20-ს. მას თან გაჰყვებიან ეპისკოპოსები მესროპი და ხორენი და არქიმანდრიტები ზაგრატი და მათეოსი.

### ქუთაისი

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა **წლიური კრება** დანიშნულია 29 აპრილს, რო-

# ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე

X

## მშვენიერების პოეტი.

1.

როდესაც რომელიმე ახალ მწერალზე მიხდება ლაპარაკი, კალამს შიშითა და მოკრძალებით ვიღებ ხელში; ამის მიზეზი უმთავრესად ორია: პირველი ისა, რომ ამ მწერალთა შესახებ ჯერ არაფერი დაწერილა, გარკვეული აზრი არ გამოთქმულა და, მაშასადამე, გზაც სულ გაუკაფავი და უვალია; მასზე ფეხის მოტეხა ადვილი საქმეა; მეორე კიდევ ისა, რომ ჩვენ ახალ მწერლებს ჯერ კიდევ ვერ შეუმუშავებიათ ერთგვარი, განსაზღვრული მიმართულება, ვერ შეუთვისებიათ გარკვეული აზრი საგნებზე; ეს უმთავრესად ითქმის ჩვენს ლირიკოსებზე, რომელნიც წუთიერ სულიერ განწყობილების და უბრალო შთაბეჭდილების საშუალებით ქმნიან ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებს: ესკიზს, ეტიუდს, ელეგიას და სხვ.

ყველა ახალ „პოეტებზე“ ლაპარაკი ზედმეტი და უადგილოც იქნებოდა, რადგანაც უმრავლესობა შემთხვევითი და წარმავალია; მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებმაც უკვე საკმაო ყურადღება მიიპყრეს მკითხველისა და რომელთა მიმართ უკანასკნელი აყენებს სხვა და სხვა გვარ მოთხოვნილებებს; ეს ის პოეტებია, რომელთაც გვერდს ვერ აუხვევ, როცა სხვა და სხვა ახალ მიმართულებებზე ლაპარაკობ ჩვენში; თუმცა არც ის შეგვიძლია ვთქვათ, თითქოს ამათ ნაწარმოებში **სავსებით** გამოიხატა ესა თუ ის ლიტერატურული მიმდინარეობა; იგი ჩვენში იმდენად მკრთალია, რამდენადაც თვით ჩვენი ცხოვრებაა მკრთალი, რამდენადაც ჩვენ ახალ თაობას დაუდგომლობა, გაურკვევლობა და არევ-დარევა ახასიათებს.

ამ ახალ მწერალთა რიცხვში, რომელთაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურის კრიტიკა უყურადღებოდ ვერ დასტოვებს, საპატიო ადგილი უჭირავს ახალგაზდა მგოსანს ი. გრიშაშვილს.

ჩვენი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე თავის „ეტიუდების“ შესავალში ორის სიტყვით გრიშაშვილსაც შეეხო; აი აი რას ამბობს იგი: „ჩვენ ახლანდელს სალირიკო პოეზიაში კიდევ სჭარბობს გარდამეტებული ოპტიმიზმი, იგი უხვად არის გაბნეული ი. გრიშაშვილის ლექსებში“. (იხ. „ეტიუდები, ტომი 1, გვერდი 12).

მე მგონია ეს შეხედულება გრიშაშვილზე სწორი არ უნდა იყოს, რადგან მას აჩრდილივით მუდამ თან სდევს სევდა და ნაღველი; მართალია ის დიადებით, მიუწდომელის მშვენიერებით ამკობს თავის სატრფოს სურათს, მაგრამ ეგ სატრფო მხოლოდ ხილვის საგნად გამხდარა და მას პოეტი ვერას დროს ვერ მისწვდება... ყოველი მისი ძიება, ვედრება ამაოა, სატრფო მისთვის გულქვაა და სიყვარულით დამწვარი გული მეტს ველარ იტანს, კმარა მისთვის ვაება და ნებისცდა, ეხლა იგი მტირალი, მოტყუებული, ცხოვრებისა და ხალხისაგან გაუგებარი, ველარ იტანს მუდმივ ობლობას და სიკვდილს უხმობს, მასში ფიქრობს იპოვოს შვება. აი, ასეთის პესიმიზმით არის გამსჭვალული პოეტის შემოქმედება.

ადამიანის ბუნება მუდამ იმას ეტრფის, რაც მის გარეშეა და რაც ძნელი მისაწდომია; რამდენადაც ეს მიზანი ძნელ მისაწვდენად იქცევა, იმდენად უფრო მომხიბვლელად და წარმტაცად გეჩვენება.

აი რატომ არის გრიშაშვილის სატრფო არაჩვეულებრივად მდიდარი ბუნების მატარებელი, ზეკაცურის თვისებებით აღჭურვილი და შეუდარებელის სინაზისა და სილამაზის გამომხატველი, სატრფოს მშვენიერება იმდენად ძლიერია, რომ იგი ბუნების სხვა და სხვა საგნებზე და მოვლენებზე გადადის და მათაც არაჩვეულებრივ მშვენიერების მატარებლად აქცევს.

უბრალო საგანი, ჩვეულებრივი სურათი, რომელსაც უბრალო ადამიანი გვერდს აუხვევს და უმნიშვნელოდ ჩასთვლის, პოეტის კალმის ქვეშ არაჩვეულებრივი მშვენებისა და სილამაზის სახეს იღებს. და ეს იმიტომ, რომ ამ სურათსა და მოვლენას უთუოდ რაიმე კავშირი აქვს პოეტის სტიქიურ გრძნობასთან და კერძოდ სატრფოსთან.

აი რატომაა გრიშაშვილის მიერ დახატული სურათები ნაზი, მიმზიდველი და ლამაზი, აი რატომ ხდება, რომ ჩვეულებრივი საგანი მის წინაშე მშვენივრობად იქცევა და ისე მეტყველობს, ვით სატრფოს წითელ ხავერდიანი ბაგე. აი რატომ არის გრიშაშვილი უპირველესად **სილამაზის, მშვენიერების პოეტი...** აკი ის, ყველაზე უწინ, შეყვარებული პოეტია და მის გულს მძლავრად მოსდებია სიყვარულის ცეცხლი. იწვის პოეტი და ამ წვას, დაგვას ისე შესცქერის, ვით ღირსეულ მღვდელმოქმედებას. ამიტომაცაა მისი ლექსი ნაზი ცეცხლის, ნაპერწკლის მფრქვევი... ცნობილ რუს მწერლის, გოგოლის მოთხრობაში „ტარას ბულბა“ შეუდარებლის ნიჭითაა აღწერილი მომენტები, როცა ტარასი შვილებითურთ აპირებს „სეჩი“საკენ გამგზავრებას, რათა ურჯულოებსა და მტრებს შეებას; ამ მზადებაში ტარასს ყოველი საგანი და მოვლენა მხოლოდ იმდენად აინტერესებს, რამდენადაც მათ რაიმე კავშირი აქვთ მომავალ ბრძოლასთან; იგი ამტვრევს და ამსხვრევს ყველაფერს, რასაც ოჯახურ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ბრძოლის ველზე კი სრულებით გამოუსადეგარია. თვით დედის გამოთხოვება შვილებთან ზედმეტ სანტიმენტალობად და დროს დაკარგვად მიაჩნია... ასეთია ადამიანი ბრძოლის წინ, აქ თითქოს სავსებით იცვლება მისი შეხედულება საგნების ღირსებაზე და ხდება სრული გადაფასება ასეთი წუთები ჩვეულებრივისაგან ფრიად განირჩევა და ამიტომ იგი არანორმალურად იქცევა, ადამიანის ფსიხოლოგია თითქოს ძირიანად იცვლება.

ამგვარი მომენტები განიცადა ქართველობამაც ახლო წარსულში; ამ არაჩვეულებრივ საგნებში ჩვენის ხალხის შეხედულებაცა და აზრიც რადიკალურ ცვლილებას განიცდიდა; მას მხოლოდ ის სწამდა, უყვარდა და აფასებდა, რაიც მას პირდაპირ დახმარებას გაუწევდა და შეღავათს მისცემდა. ხელოვნება, პოეზია, ესთეტიკა ამ დროს უადგილო შეიქმნა, უადგილო შეიქმნა ყოველივე ის, რაც ჰარადისობისა და ცხოვრების საიდუმლოების სიმბოლიურ გამოხატულებად მიაჩნდათ, მას იტაცებდა სადღეისო საჭირბოროტო კითხვები; ამ დროს ხელოვნური ნაწარმოები მნიშვნელობას კარგავს, თუ მას პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს ამ სადღეისო კითხვებთან.

აქედან ვითარდება უტილიტარისტული შეხედულება პოეზიაზე, რომელიც მუდამ მისი ბუნებრივობისა და სიმშვენიერის მკვლელი იყო. ამგვარის უტილიტარისტული იდეებით გამსჭვალული მკითხველი ვერ ურიგდება ისეთ შემოქმედებას, რომელიც მის, თუნდაც საკაცობრიო და სეროვნო საქმეს, რაიმე სამსახურს არ უწევს და არ მფარველობს. აი აქედან გამომდინარეობს სიმპატია და ანტიპატია ამა თუ იმ მწერლისადმი და არა მისი ნაწერების უტყუარს ღირსების დაფასებიდან.

ამ მხრით ყველაზე მეტი საყვედური და უადგილო დამცირება ხვდა ნიჭიერ მგოსან ი. გრიშაშვილს. მისგან მუდამ ითხოვდნენ ამ საერთაშორისო და საზოგადოებრივ—მოქალაქობრივ მოტივებს, ოცნების პოეტს უწოდებდნენ, მაგრამ პოეტმა ოდნავადაც არ გადაუხვია თავიდანვე არჩეულ გზას და ბოლომდე მტკიცედ შერჩა მას, თუმცა ბრძოლის ჰანგებზეც რომ აეწყო თავისი ქნარი, სხვა მოლექსეებზე უნიჭოს არას შეჰქმნიდა; ამას ცხადად მოწმობს ის ორიოდე ლექსი, რომელშიაც ავტორი ეროვნულ მოტივებს აღნიშნავს და სხვებზე მეტის სიძლიერით სწერს; აიღეთ თუნდა მისი „ზამთარი“, აი რას ამბობს აქ პოეტი:

„ნუ—თუ გაზაფხულს
ველარ შევხვდები?
და მრავალ-ტანჯულს
ჩემს ტურფა მამულს
იმედით შემკულს
ვერ ველირსები?!“

პოეტს შეეძლო ამგვარად განეგრძო სვლა, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი არც ბუნებრივი იქნებოდა და არც ორიგინალური მაშინ, როდესაც უმთავრესი ღირსება გრიშაშვილის პოეზიისა სწორედ მის თავისებურობაში, თავისუფალ ლაღ ფრენაში, ორიგინალობაში გამოიხატება.

რად არ იქნებოდა ამ შემთხვევაში ბუნებრივი? იკითხავთ თქვენ; განა ბუნებრივი არ არის მოქალაქობრივი, ეროვნული მოტივი და სხვ. ამგვარები?! რასაკვირველია, ეს ჩვენთვის, რომელთაც საზოგადოდ გვაინტერესებს მიწიერი ცხოვრება, რომლებზედაც თვალსაჩინო გავლენას ახდენს რეალურ ძალთა განწყობილება, ცხოვრების პირობები, რომელთაც მხოლოდ ამ ქვეყნიურ სინამდვილესთან გვაქვს საქმე და კავშირი, მაგრამ სულ სხვაგვარად უცქერის ამას მგოსანი.

მისთვის მიწა, მიწიერი ყოფა, ჩვენი ცხოვრება, რეალობა, როგორც კონკრეტული მოვლენა საინტერესო არ არის, წინააღმდეგ მომაბეზრებელი და უფერულია; და თუ მათ პოეტი რაიმე ანგარიშს უწევს და ხშირად თვალის-წარმტაც მშვენიერებით აგვიწერს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეგ მისი სატრფოს სამყოფად მიაჩნია, მხოლოდ იმიტომ, რომ რაიმე კავშირს ამყარებს სატრფოსა და სამშობლო ბუნების შორის.

მაგრამ საკმარისია სატრფო ამ რეალობის, ხელსახებ ქვეყნის იქით ამოეფაროს, რომ პოეტმაც სავსებით უკუ აგდოს და დაივიწყოს მთელი მიწიერი ცხოვრება. განა შეიძლება ასეთ ადამიანს იტაცებდეს საზოგადოებრივი იდეალი, რომელიმე სახელმწიფოებრივი ფორმა, მმართველობა და სხვ.?!

წინააღმდეგ, ყველა ამას იგი წუთიერად და წარმავალად სთვლის, ხოლო მისთვის კი საჭიროა სამარადისო, უკვდავი რომელიც დაუსრულებელ წყაროდ იქცევა შემოქმედებისა და ამ სამარადისო, უკვდავ მოტივებს იგი სიყვარულში ეძიებს, რომელიც მშვენიერებამ დაბადა და რომელმაც თვით მშვენიერებას უკვდავების სული ჩაჰბერა.

4.

ამგვარი განცალკევება საზოგადოებრიობისაგან მისთვის ბუნებრივია იმდენად, რამდენადაც პოეტი განმათავისუფლებელ მოძრაობის დამარცხების ხანას ეკუთვნის.

აი სწორედ ამხანაგებში უარჰყო ახალგაზრდობამ საზოგადოებრიობა და ინდივიდუალიზმისაკენ იბრუნა პირი; მაგრამ ეს ამაყი ინდივიდუალიზმის გზა მეტად ძნელია და მაზე ბევრ ტკივილებს განიცდის პოეტიც. ხშირად მას უმიზნოდ, უშინაარსოდ

გორის ანგარიშიდან სჩანს საზოგადოების საქმეები განკარგების გზაზე დამდგარი და ეჭვი არ არის, რომ 2-3 წელიწადში საზოგადოება ძველ ცოდვებს აიშორებს თავიდან და დივიდენდსაც მისცემს წევრებს. წრეულს გამგეობის არც ერთ წევრს სამსახურის ვადა არ უთავდება და ამიტომ არც არჩევნები იქნება.

◆ კაურჩიშვილის ქალთა **კერძო პროგიმნაზიაში** მოსწავლეთა გამოცდაზე დასასწრებლად სამოსწავლო ოლქს დაუნიშნავს სახალხო სკოლების დირექტორი კრუპკა. ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის ვის დანიშნავენ დეპუტატად ქართული გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლეთა გამოცდაზე დასასწრებლად.

◆ ამას წინად შეცდომით გვქონდა აღნიშნული, რომ ნამესტნიკის განკარგულებით დათხოვნილია მაისიდან წმ. ნინოს სასწავლებელის სამღვთო სჯულის მასწავლებელი მღ. მაჭარაძე.

◆ აღდგომის კვირიდან დაწყებული ქუთაისსა და მთელს იმერეთში **განუწყვეტელი წვიმებია** და უკანასკნელ ხანებში-კი საგრძნობლად აცივდა. დიდ ზარალს აყენებს მეაბრეშუმეებს.

◆ ხორცი ქუთაისში ძნელი საშოვარი გახდა. **ყასბები** გარდა ამისა, რომ ნიხრით არ ხელმძღვანელობენ და ხორცს ძვირად ჰყიდიან, მცხოვრებთათვის საკმაო საქონელს არა ჰხოცავენ და ამის გამო შეუძლებელი ნაწილი ქალაქის მცხოვრებლებისა გაჭირვებას განიცდის.

◆ ბ-ნი ვირლამ ჭილაძის თაოსნობით ქუთაისში აღძრულია საკითხი **კომერციულ სასწავლებლის დაარსების** თაობაზე. ამ ჟამად იკრიბება ცნობები საშუალების შესახებ. როგორც გავიგეთ, ქუთათური ვაჭრები მზად არიან ეს საქმე კეთილად დააბოლოვონ. მაისში მოელიან ამ საქმის გამო საკომერციო სასწავლებლების საოლქო ინსპექტორს ფიშერს.

◆ 15 აპრილიდან ქალაქის თეატრში იწყება **საოპერეტო დასის გასტროლები** მანდილოსანთათვის „დუშკა" გარიაგინისა და მამაკაცთათვის შეუდარებელი ისკრის ხელმძღვანელობით. ადგილების ფასები ქ-ნ ისკრასა და ბ-ნ ვართაგინს უზომოდ დიდი დაუნიშნავთ.

### მაჰმადიანთა ცხოვრება.

◆ გაზ. „იღბალი" სწერს, რომ წელს ბაქოში არ შესდგება ჩვეულებრივი საღამო ბაქოს მაჰმადიანთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ, ვინაიდან ჰაჯი ზეინალ აბდინ თაღიევს უსიამოვნება მოუვიდაო: თაღიევი ამ საზოგადოების თავმჯდომარედ იყო.

◆ მაჰმადიანთა გაზეთები ურჩევენ მაჰმადიანებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში და მაჰმადიანთა ინტერესების დამცველი პირები ამოირჩიონ დეპუტატებად.

## ქუთაისის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის გამო.

ქუთაისის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის გამო „რეჩს" სწერენ:

„ქუთაისის საქალებო წმ. ნინოს სასწავლებლის უფროსად მ. ი. ტიმჩენკო-იაროშჩენკოა. იაროშჩენკო ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრია და, რასაკვირველია, მოსწავლეებსაც ამის მიხედვით ზრდის და უნვითარებს ეროვნულ შეურიგებლობას და მოუთმენლობას.

— გახსოვდეს, რომ რუსი ხარ!— ეუბნება იგი ყველა რუს მოწაფეს, საჭირო არ არის ქართველების ველური ინსტინქტების მიბაძვა!

უფროსი მკვიდრ-მოწაფეებსა და მათ მშობლებს ისე ექცევა, როგორც კი შეუძლებელია განათლებულ და რიგიან საზოგადოებაში.

მოწაფეებს ველარ მოუთმენიათ და ამას წინად, სასწავლებლის დიდ დარბაზში, ლოცვის დროს, ყველა ეროვნების მოწაფეებს სასწავლებლის უფროსისათვის პროტესტი გამოუცხადებიათ.

მოწაფეთა მშობლებს გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვის სახელობაზე შეუდგენიათ წერილი, რადგან გრაფინია თავმჯდომარეა იმ საქველმოქმედო საზოგადოებისა, რომელიც კავკასიაში არსებულ წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელთა გამგეა. ეს წერილი წავიკითხეთ და ორასს კაცსაც მოეწერა უკვე ხელი.

მაგრამ ეს გუბერნატორს რო გაუგია, საქმის მოთავეებისათვის აუკრძალავს ხელისმოწერინება, ამიტომ წერილი გაუგზავნელი დარჩენილა.

ზოგიერთ ხმოსნებს სურდათ ქუთაისის საქალაქო საბჭოში საქმის გამო მოხსენება წაეკითხათ, მაგრამ გუბერნატორს ნება არ მიუცია.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივ მთავრობას, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთაგან არ შესდგება, პირდაპირ განუცხადებია; ქ-ნი ტიმჩენკო-იაროშჩენკო საქალებო სასწავლებელში დასატოვებელი ვერ არისო.

ისინიც დაამარცხეს „მოკავშირეებმა".

ზემოხსენებულ საქველმოქმედო საზოგადოების საქმეებს განაგებს ნამესტნიკის საბჭოს წევრი დეისტვ. სტ. სოვ. ოსეცკი. იგი სასწავლებლის საქმეების გამოსაძიებლად გაგზავნილი, ქუთაისში ჩავიდა და გამოიძია. ოსეცკის მოხსენებით ყველანი დამნაშავენი ყოფილან, ვისაც კი რაიმე ურთიერთობა ჰქონია სასწავლებელთან, გარდა უფროსისქალის მ. ი. ტიმჩენკო-იაროშენკოსი.

ამისი შედეგი ძლიერ სამწუხაროა.

გამგეობის წევრი—გამგე, თ-დი ი. ზ. მელიქიშვილი, რომელსაც 25 წელს უმსახურნია უსასყიდლოდ განათლების საქმისათვის, იძულებული იყო სამსახურისათვის თავი დაენებებინა.

სასწავლებლის ინსპექტორს კ. ა. ლოლობერიძეს წინადადება მისცეს სამსახურიდან გადადგომისა. იმანაც ვერ აიტანა და დაღუპვა ირჩია: თავი ჩამოიხრჩო...

## სასამართლო.

### წამება.

18 აპრილს ტფ. სამოსამართლო პალატის პირველ დეპარტამენტში საინტერესო საქმე გაირჩა.

დამნაშავის სკამზე ისხდნენ: **სურამის ნაბოქაულარი ი. უ. არსანუკაევ-დიშნინსკი, და მისი ჩაფრები:** ყაზბეგ მურგუსტოვი და უჯახ ტეშილევი და სურამის რაიონის უფროსი პოლიციელი ვ. ინასარიძე.

**ბრალდებოდათ ჩიტო ლაბაძისა, ვ. კიკნაძისა და მ. კობალაძის წამება.**

საქმის გარჩევას იმდენი ხალხი დაესწრო, რომ სასამართლოს დარბაზში ტევა აღარ იყო.

საბრალმდებლო ოქმი საქმის გარემოებას ასე გადმოგვცემს:

1911 წლის 20 აპრილს ბოქაულმა არსანუკაევმა გაიგო, რომ ომიაძის დუქნიდან ტყავეულობა მოეპარათ. ეჭვით დააპატიმრა სადგურ მიხაილოვის ყარაულები ვ. კიკნაძე და მ. კობალაძე. ორთავეს სახეში სცემა და შემდეგ თავის სახლის სარდაფში ჩაამწყვდია. არსანუკაევის ბრძანებით სარდაფში ჩქარა ჩავიდნენ ჩაფრები უჯახოვი და მურგუსტოვი, რომლებმაც დამწყვდეულებს ჯერ ფეხსაცმელები დაჰხადეს და შემდეგ ხარის ტყავის მათრახებით ზურგსა და ფეხებზე ცემა დაუწყეს. თან ძალას ატანდნენ, სთქვით, რომ ჩვენ დავინახეთ, მოპარული ტყავი რკინის გზის საწყობის ყარაულს ჩიტო ლაბაძეს მიჰქონდაო. დაპატიმრებულებმა ბრძანება არ შეასრულეს. ისინი სარდაფში დასტოვეს. 22 აპრილს ბოქაულმა ჩიტო ლაბაძე დაიჭირა და 23 აპრილს იმავ სარდაფში ჩაამწყვდია, სადაც კიკნაძე და კობალაძე კვლავ იყვნენ. ზემოხსენებულმა ჩაფრებმა ლაბაძეს ტანთსაცმელი გაჰხადეს, იატაკზე წააქციეს და მათრახებით ცემა დაუწყეს, ქურდობაში გამოტყდიო. ამ დროს სარდაფში ჩავიდნენ ბოქაული და პოლიციელი ინასარიძე, უკანასკნელმა ლაბაძე კვლავ წააქცია, ცალი ხელი ყელში წაუჭირა, მეორე პირზე მიაფარა, ხოლო უჯახოვმა და მურგუსტოვმა ორთავე ფეხი მაღლა აუწიეს და მათრახებით უწყალოდ ცემა დაუწყეს. ამ წამების შემდეგ ბოქაულმა ლაბაძე გაანთავისუფლა და უთხარა, სამის დღის განმავლობაში ნაპარავი საქონელი მოიტანეო. სამის დღის შემდეგ ლაბაძე ბოქაულის კანცელარიაში გამოცხადდა და განაცხადა, არაფერი არ მომიპარავს და ამიტომ ვერაფერის მოტანა ვერ შემიძლიანო. ბოქაულმა მურგუსტოვსა და უჯუხოვს უბრძანა, ლაბაძე ჩაემწყვდიათ იმ სარდაფში, სადაც ჯერ კიდევ ემწყვდნენ კიკნაძე და კობალაძე. ჩაფრებმა ლაბაძეს კვლავ ცემა დაუწყეს, მაგრამ იგი დანაშაულში არა ტყდებოდა. ამის გამო გაბრაზებული ბოქაული სარდაფში ჩავიდა და ჩაფრებს უბრძანა, შამფური მოეტანათ. მოიტანეს გახურებული შამფური. ლაბაძეს შარვალი გახადეს და მხოლოდ პერანგისა და წინდების ამარა დასტოვეს. უჯახოვმა სასირცხო ასოზე მოავლო ხელი ლაბაძესა, ხოლო მურგუსტოვმა გახურებულის შამფურით დაუდაღა. დაუდაღეს აგრეთვე სხეულის სხვა ნაწილებიც. ამ წამების დროს პოლიცელს ინასარიძეს ლაბაძე ეჭირა. ყოველივე ეს მოხდა იმიაძისა (იგივე ომიანელი), კიკნაძისა და კობალაძის თვალთწინ. მეორე დღეს ლაბაძე კიკნაძე და კობალაძე საპოლიციო დარაჯთა-საყაულოში გადიყვანეს, სადაც რვა დღეს იყვნენ. იქ ყოფნის დროს საყარაულოში ერთხელ საპოლიციო დარაჯთა ოფიცერი შევიდა, რომელსაც ლაბაძემ წამების ამბავი უამბო და დადაღული სხეული უჩვენა. ეს რომ ბოქაულმა გაიგო, ღამით ლაბაძეს დაემუქრა, მე შენ გაჩვენებ როგორ უნდა მიუტანო ამბავი აფიცერსაო. რვა დღის შემდეგ პატიმარნი გორის საპყრობილეში გაჰგზავნეს. კიკნაძე და ლაბაძე ორის დღის შემდეგ გაანთავისუფლეს, ლაბაძე კი თვეზე მეტს იჯდა. 1 მაისს რკინის გზის ექიმმა პლავტოვმა ლაბაძე შეამოწმა და აღმოაჩნდა, რომ ლაბაძეს მარცხენა ფერდსა, კეფაზე, ბეჭებსა და სხვა ადგილებში სისხლი და იარა სდიოდა. 20 მაისს ლაბაძე გორის სამაზრო ექიმმა ელიოზიშვილმაც გაშინჯა და მანაც დაამოწმა, რომ ლაბაძე საშინლად იყო ნაწამები.

ამ საქმის გამო სასამართლოში დაბარებული იყო 22 მოწმე, რომელთაგანაც ორი არ გამოცხადდა. საქმის გარჩევა გუშინ გათავდა და სასამართლომ თავისი განაჩენი გამოაცხადა, რომლითაც დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა: ნაბოქაულარს არსანუკაევ-დიშნინსკის-ორ წელიწად ნახევრის, ხოლო ჩაფრებს უჯახოვსა და მურგუსტოვს-თითო წლით. პოლიციელს ინასარიძეს სასამართლომ ოთხის თვის ციხე მიუსაჯა. ნაბოქაულარი დიშნინსკი იქვე შეიპყრეს, რადგანაც სათავდებო ორასი თუმანი (ნაღდი ფული) ვერ წარადგინა. აქამდე გამოშვებული იყო ასის თუმნის თავდებით.

## ჩინეთის რესპუბლიკა

### დეპეშები.

**პეკინი** სათათბირო საბჭოს გახსნის, გამო პრეზიდენტმა სიტყვა წარმოსთქვა და უმწეო ნივთიერი მდგომარეობა აღნიშნა, აუცილებლად საჭირო არის ფულის სესხება. ამის გამო ბევრ გადასახადს გაადიდებენ. ყურადღებას მიაქცევენ. მეურნეობასა და მრეწველობის განვითარებას. პრეზიდენტმა განაცხადა: იმედია ხალხი ნდობით მოგვეპყრობა და დაგვეხმარებაო.

**კუანჩენძი.** საპოლიციო და გაწრთვნილ ჯარს ყოველთვის ჩხუბი აქვთ, რის გამოც ჩინეთმა უმრავლესობა ქალაქიდან გაიყვანა. სამხრეთიდან ბევრი ჩინელი მოდის რუსეთში სამუშაოს საშოვნელად. დაოტაიმ, რუსეთის კონსულის მოთხოვნილებით, ამურის გზაზე ჩინელებს მუშაობა აუკრძალა.

**კულჯა.** აქსში არეულობა დაიწყო. დაოტაი მოუკლავთ.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

### საზღვარ-გარედ.

18 აპრილი.

### მაროკოს ამბავი.

**პარიზი.** „ჰავასს" ატყობინებენ: რენიომ ფესის ჯარის აჯანყების საქმე გამოიძია და დაამტკიცა, რომ ჯარისკაცები უკმაყოფილონი ყოფილან ჯამაგირის გამო. პროტექტორის ხელშეკრულების ხელთმოწერას მაინც ვერავინ დაასახელებს ამბოხების მიზეზად. უცხოელთა ქადაგება სრულიად არ სჩანს. ხონთქარსა და ვეზირებსაც ვერაფერს დასწამებს ადამიანი. არც ებრაელების ბრალი ყოფილა და მათ არ წაუქეზებიათ. ამბოხება კარგად ვერ ყოფილა მოწყობილი და ამიტომ სრულიად მოულოდნელი იყო.

### ვენის არჩევნები.

**ვენა.** დღევანდელ სათემო არჩევნებზე ამოირჩიეს 32 ქრისტიანი სოციალისტი და ორი გერმანელი პროგრესისტი. ხელმეორედ კენჭს უყრიან 14. აქამდე 48 ადგილი ქრისტიან სოციალისტებს ეკუთვნის.

### ჰუნგრეთის [illegible]

**ვენა.** ჰუნგრელთა დელეგაციის სესია გაიხსნა. [illegible] მინისტრმა ბერტჰოლდმა ავსტრია-ჰუნგრეთის საგარეო პოლიტიკის თაობაზე განმარტება მისცა. მინისტრმა აღნიშნა სახელმწიფოთა მეგობრობა და სთქვა, სამშვიდობო პოლიტიკას ვაწარმოებთო. რუსეთთან ურთიერთობას ძლიერ დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ჩვენ ამ მხრით ძალიან გვასიამოვნა საზონოვის სიტყვამ; დარდანელის თაობაზე განაცხადა: ოსმალეთს უკვე შევატყობინეთ ავსტრიის აზრიო.

### მინისტრის განცხადება.

**ბერლინი.** რეიჰსტაგის საბიუჯეტო კომისიაში სამხედრო მინისტრმა განაცხადა: ჩემი სიტყვა დუელის თაობაზე, სამწუხაროდ, ყველას ვერ გაუგია და კათოლიკობა აუღელვებიათ. სრულიადაც არა მსურდა სარწმუნოებრივ გრძნობის შეურაცხყოფა, აფიცრებისათვის დუელი ერთად-ერთი საშუალება უნდა იყვეს სახელის აღსადგენადაო.

### გერმანია და ინგლისი.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში ასკვიტმა განაცხადა: გერმანიასა და ინგლისს ეხლა კი შეუძლიანთ მეგობრულად მსჯელობაო.

### პოლონელები და რუსები.

**ლვოვი.** პოლონელთა თავად-აზნაურობის კონსერვატორების გამოჩენილ პოლიტიკოსებს კრება ჰქონდათ. გადასწყვიტეს საარჩევნო რეფორმა ისე მოახდინონ, რომ რუსებს სეიმის ადგილების 25 პროცენტზე მეტი არ ერგოთ.

### რუსეთი

### რონიკერის საქმე.

**ვარშავა.** რონიკერის საქმე. ბურგომისტრმა კამენეცმა რონიკერის გასამტყუნებელი ბევრი რამა სთქვა. აღნიშნა, რონიკერი დიდად სცდილობდა ყალბ მოწმეების შოვნას ალიბის დასამტკიცებლადო.

### სტუდენტთა დემონსტრაცია მოსკოვში.

**მოსკოვი.** საეგზამენოდ ჩაწერის დროს სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა, (50 კაცამდე), „განუსვენეს" გალობა დაიწყო, ლენის ამბის გამო. პოლიციამ სამი დააპატიმრა. სხვა სტუდენტები სულ 500 კაცი, მშვიდობიანად დაიშალნენ და დემონსტრანტებს არ მიმხრობიან.

მონარქისტებს ჰსურთ ორლოვის კანდიდატურა წამოაყენონ.

## თეატრი და ხელოვნება

„21 ამ თვისას, შაბათს, თეატრ „მუზაში" ქალთა **მეორე გიმნაზიის მშობელთა წრის თაოსნობით გაი-**

---

ეჩვენება მთელი მისი ცხოვრება და ჭმუნვასა და დარდს ეძლევა:

„სევდის ღრუბელი", ამბობს პოეტი, შავბნელი ბინდი
„ზედ დასწოლია ჩემს მიმქრალ თვალებს;
„გული იტანჯვის, სული ვალალებს". და სხვა.

საჭიროა როგორმე დააღწიოს თავი ამ სევდას, დაამსხვრიოს ობლობის ბორკილი და ნავთსადგური მოსძებნოს, მაგრამ ამაოა ამგვარი ცდა და იგიც მოღლილი, დაქანცული სჩივის:

„ვერსად ვერ ვპოვე სულის სიმშვიდე,
ვერ დავიწყნარე ფიქრები მწვავი.—
სად ვპოვო მხსნელი,
ნავთ-საყუდელი,
რომ შევაჩერო ობოლი ნავი?" (იხ. „ობოლი ნავი".)

ასეთ სულიერ მარტოობისა და უსაზღვრო ტანჯვის უიმედობის ხანაში, პოეტს გული უცრუვდება ცხოვრებაზე და თვით შემოქმედებაც რომელშიაც იგი შვებასა და ნეტარებას პოულობდა, ეს შემოქმედებაც კი უმიზნოდ და უშინაარსოდ მიაჩნია მას; იჭვი იპყრობს პოეტს და იგიც ამბობს;

„ეჰ, სულ ამაოდ ავკინძე მგონი"
„ცრემლის წიაღში ექვსი სტრიქონი".

ეს შეუდარებელი ტრაგიზმია პოეტის ყოფაში; ხშირად ხდება, რომ რომელიმე მწერალს ცხოვრება, სინამდვილე, ყოფა სრულ აბსურდად მიაჩნია, უშინაარსობის გამომხატველად სთვლის, მაგრამ იგი მაინც კმაყოფილია მითი, რომ ხელში უპყრია დიადი იარაღი—შემოქმედებითი ნიჭი, რომელიც მას მუდამ იხსნის ჭმუნვა-ვაებისაგან და გზას უსხივოსნებს.

პოეტი გრიშაშვილი ობლადა სდგას, რადგან ბრბო თავის მოუხეშავის და ტლანქის ძალით მის გულის ნადებს ვერ მიხვდება და მის იდეალს შურით დასცინებს.

„ბრბო უმეცარი", ამბობს პოეტი, —ღვარძლით აღვსილი
შურით თვალს ღულავს
**მიპირებს ჩანთქმას**
**გმობს, სწყევლის, ჰკრულავს**
**იმედს და აღთქმას!!**

მიწიერი ცხოვრება, რომელიც ამ ბრბოს თვის დაქვეითებულ გემოვნებამდე დაუწვრილმანებია, რომელიც ამ უმეცართა სავანედ ქცეულა, პოეტს ვერ დააკმაყოფილებს, გულს დაუსერავს და მის მაღალ მცნებაზე, ძიებაზე, წმინდა ლტოლვაზე უაზრო, უშინაარსო სახით „უპასუხებს"; და ამ ცხოვრებისაგან გარიყული პოეტი, ობოლის სევდის მატარებელი გრიშაშვილი, მწარედ გოდებს:

„ცხოვრებას **მკაცრს მუნჯს**
არ ვეგუები"-ო.

5.

ყველა ამის შემდეგ საჭიროა პოეტმა დასტოვოს ეს ქვეყანა, რომელიც მისთვის ყრუა და უგრძნობი. მაგრამ იგი ჯერ კიდევ ვერ სჩადის ამას, რადგან ამ ქვეყნად ეგულება სატრფო, საყვარელი არსება და სანამ ამ უკანასკნელის სამყოფი იქნება მიწიერი ქვეყანა, მანამ პოეტი ეცდება შეურიგდეს მას, როგორც აუცილებლობას სატრფოსთან თანდაყოლილს; პოეტიც ნათლად ხედავს ამას, როცა თავის საყვარელ არსებას ეუბნება:

„შენ შემაჩვიე ჟამთა სრბოლას, შენ შემითვისე,
შენ შემითვისე, **შემაყვარე ცა, ყრუ ქვეყანა** *)"

მაგრამ პოეტს, რომელმაც დაგმობილი მიწა, წვრილმანური ცხოვრება კვლავ შეითვისა სინამდვილე ხილული სატრფო ვერ მიუხვდა, ვერ იცნო მისი სულის კვნესა; და ამის შემდეგ იმედის ნამსხვრევებზე მდგარი, პოეტი თვალცრემლიანი ებუტბუტება სატრფოს:

„შენ ვერ გაიგე ჰანგი ციური,
ჩემს აზრთა კიდეს ვერ დაემყარე!";

თუ რამდენად უცხოა სატრფოსთვის პოეტის სულის კვეთება ამას მოწმობს პოეტის ნაღვლიან „სიმღერის" შემდეგი სტრიქონებიც:

„სატრფოვ! მე მაგ ლექსს **სულის თრთოლით, ცრემლებით ვსწერდი**
და შენ კი მაგრე **უდარდელად, ღიმილით მღერი?!"** **)

*) იხ. „ოცნების კოცნა" გვ. 15.

აქ, სხვათა შორის გამოიხატება შემოქმედის ღრმა აზრი, მისი ფილოსოფია, რომელიც აი რაში მდგომარეობს: ხელოვანის განცდა შემოქმედების დროს ზებუნებრივი და ზეკაცურია, მაშასადამე ღრმა ინდივიდუალური, ეს მის არსებაში, სხვა დროს უცნობ, წმინდა საიდუმლოების მხილებაა... ამ დროს შემოქმედი დროისა და სივრცის საზღვრებს ლახავს, ემპირიულ ქვეყნიერების ბორკილებს ამსხვრევს და თვის თავის საიდუმლო ნახევრის (რომელიც, შესაძლოა ნამდვილი, სრული პიროვნებაა) სულის ზსკერზე „კრეფს ძვირფას თვლებს, კრეფს უცნაურ მარგალიტებს". მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს შემოქმედებითი, სტიქიური ძალა, აღმაფრენა პოეტს დასტოვებს, იგი უბრალო, მომაკვდავ ადამიანად იქცევა და შეიძლება თვითვე განცვიფრდეს საკუთარის შემოქმედებით; მით უმეტეს. ეს მისი დროებითი განსხვავებული განცდა სხვისთვის აუხსნელია და უცნობი დარჩება და ეს სხვა ვერასოდეს ვერ იგრძნობს იმ ვნების ქარტეხილს, რომელიც პოეტთა ბედია და ისიც გამონაკლის წუთებში.

პოეტს მხოლოდ ის შეუყვარდება ნამდვილის სიყვარულით, ვინც სხვაზე უფრო ფართოდ გაიგებს მის გულის ნადებს, ვინც უფრო ღრმად ჩასწვდება მის გულის სიღრმეში და რამდენიმედ მაინც ინათესავებს მგოსნის ინდივიდუალურ განცდას და ლტოლვას.

ყველაზე უფრო ამგვარ რაიმეს პოეტი თავის საყვარელ არსებისაგან მოითხოვს და, რა დაინახავს, რომ სატრფოც პოეტის სულის თრთოლვითა და ცრემლებით ნაწერ ლექსს, უდარდელად და ღიმილით დაჰმღერის, გონება არეული, გულდამწვარი უსაყვედურებს თავის თავს;

„ახ. რად ვემსხვერპლე მე უბედური..
რად შევიყვარე... რად შევიყვარე?!!.."

**) ibid გვ. 22.

6.

ისეთ სატრფოს, რომელსაც პოეტის სულის გზავნილისა არაფერი გაეგება, რომელიც მხოლოდ გარეგნობით არის ლამაზი და მიმზიდველი, მაგრამ რომლის სულისათვის უცხოა პოეტის განცდა და ოცნება, ამგვარ სატრფოს პოეტი დასტოვებს და თუ ვერ იხილა ნამდვილი მესაიდუმლე, ოცნების სამეფოში შეჰქმნის ამ „ზე-ქალის" იდეალს, რომელსაც მიწიერ-მშვენიერ სახეს და სურათს მისცემს და მდიდარ ლაღ, ზეციერ სულს.

მანამ კი ის „სატრფო", რომელისკენაც წინად პოეტის გული იწევდა და რომელმაც ვერ ამოხსნა მგოსნის სულის ნასკვი, დაგმობილი იქნება მისგან.

„არ მიყვარხარ, ჩემო კარგო", ეუბნება მას პოეტი, „არ მიყვარხარ და... რა გიყო?
რომელ წყალში გადავვარდე, რომელ ზღვაზე გავირიყო...
არ მიყვარხარ... და არც ვიცი—რისთვის?!.. ან რამ მაიძულა?!..
ვინ წამართვა შენი თავი, რომელ ღმერთმა შემაძულა?" *)

პოეტს იდეალური წარმოდგენა აქვს თავის სატრფოზე, მას იგი უსრულის ადამიანად მიაჩნია და ამიტომაც სატრფო მისი შემოქმედების სულის ჩამდგმელად იქცევა; მაგრამ ამ იდეალურ წარმოდგენას, ამ აღმაფრენას ხშირად გზაზე ეღობება და ფრთებს უმტვრევს სინამდვილეში მოვლენილი სატრფო, რომელსაც მხოლოდ გარეგნული სილამაზე აქვს სრული. იგი ახშობს პოეტის შემოქმედებით ძალას და მის თავისუფლებას ჰკლავს; აქ, ნამდვილ სატრფოს სულის წიაღში, პოეტისათვის ყოველგვარი განცდა აშკარა და ღია ხდება, ხოლო მას კი მიუწდომელი და გამოუცნობი აინტერესებს, ე. ი. ის, რაც მის პოეზიას ლაღ ფრთას გამოაბამს და თავისუფლების სამეფოში გზახსნილს მისცემს.

*) იხ. ლექსი „გამმო". „სახალხო გაზეთის" დამატება № 80.

ამიტომაც პოეტი აღტაცებაში მოდის, როცა ხედავს თავის სატრფოს მძინარეს, როცა ეგ სატრფო მხოლოდ ნახევრად, ე. ი. თავის გარეგნობით, მშვენიერის ტანით ეკუთვნის ამ ქვეყანას, ხოლო მეორე ნახევრით, სულით ოცნების სამეფოშია და ამ სულიერ საიდუმლოებით, ამ ფიქრთა ამოუხსნელობით პოეტის შემოქმედება ძლიერ ფრთებსა შლის, რათა ჰიმნი შეუთხზას ამ სრულ მშვენიერებას:

„რა კარგი ხარ, როცა გძინავს, რა უცხო ხარ, თვალის ჩინო,
„ახ ნეტავი აღარ აღსდგე, სამუდამოდ დაიძინო;
„**დაიძინე, რომ შეიქმნე მგოსნის მწარე გამოცანა,**
„დაიძინე, რომ კვლავ ერთხელ მეც ვიმღერო „სულთათანა",
დაიძინე, ნანა... ნანა..." (იხ. „ჩემი ნანა").

გრიშაშვილის სატრფო, როგორც მთელი მისი პოეზია, ორიგინალური და განსხვავებულია; ჩვენ აქამდე ვიცოდით ორგვარი სატრფო, რომლებსაც, დროგამოშვებით, აგვიწერდნენ ჩვენი პოეტები: პირველი იყო სატრფო რეალური, რომელიც პოეტს მოევლინებოდა, როგორც ლამაზი ნინო, თამარი, სოფიო და სხვ. მრავალნი; ესენი კონკრეტული ადამიანებია, რომელნიც პოეტისათვის ამოცანას არ შეადგენენ და რომელნიც **ნამდვილ სინამდვილეში** იმყოფებიან, მეორე გვარი სატრფო განყენებულია, იგი უფრო ხშირად სიმბოლოა პოეტის იდეალისა და მისი არსებაც, სილამაზეც, თვისებანიც ზეციური, გამოუცნობი და მისტიურია, მისი ბინა **ქმნილი სინამდვილეა.**

გრიშაშვილის სატრფო არც ერთ ამათგანს არ ეკუთვნის და ორთავეს ერთად შეიცავს; ამ სატრფოს სული პოეტისაგან მუდამ განშორებით და განმარტოებით სდგას, იგი მიუწდომელია და ეს მიუწდომლობა, შორად ჭვრეტა მისის სულისა პოეტის იდეალია („მსურს გჭვრეტდე შორით... ხელი არა გახლო, გულისა ტოლო, სატრფოვ ობოლო"), მეორეს მხრით კი იგი მატარებელია ნამდვილ, კონკრეტულად გამოხატულ სილამაზისა, გარეგნულ სიმშვენიერისა, რომელიც ქვეყნად უხვადაა მოფენილი და სატრფოში, როგორც სინტეზში ჰპოულობს სრულ გამოხატულებას. აქ პოეტს სატრფოს კოცნის წყურვილი ჰკლავს, მისი ხვევნა სწყურია, მისი მშვენიერებით დატკბობა ჰსურს და სხვ. ასეთია პოეტის სატრფო, რომელიც ორგვარ დასაწყისის მატარებელია, დუალიზმის სიმბოლოა.

7.

როგორც ზევითა ვსთქვი, პოეტის სატრფო თუმცა გარეგნულად ამ ქვეყნიურ მშვენიერებითაა შემკული, ხორციელის სილამაზითაა აღჭურვილი, მაგრამ მისი სულიერი „მე" ამ ქვეყნიურს არ ეკუთვნის, იგი ზეცის შვილია, ზე-ქალი და მაშასადამე იტევს მეორე, უფრო სრულ მშვენიერებას —სულის სილამაზეს. ეს ზეციური სული პოეტმა ქვეყნად ჩამოიტანა, მოსძებნა მისი შესაფერისი ტანი, ფორმა, შთაბერა იგი მასში და ამით სრულ-ჰყო ნამდვილი მშვენიერება. ეს სატრფო ნახევრად ხელსახებია და ნახევრად კი შეუმცნებელი, მიუწვდომელია. ამგვარი თვისებისაა პოეტის სათაყვანო, მისი მუზის ღმერთოლ-ოლი.

მაგრამ საკმარისია ეს მეორე, უმთავრესი მხარე მისაწვდომად იქცეს, რომ პოეტი საშინელმა ფიქრებმა და არარაობის შიშმა აიტანოს. ამ დროს იგი გულის საწადელს თხოვნით მიჰმართავს: „ჩამომეხსენი, შენ გენაცვალე ჩამომეხსენიო".

აი რამდენად აშინებს პოეტს სინამდვილედ ქცეული სატრფო, როცა მის არსებაში მისტიური და საიდუმლოებრივი აღარაფერი რჩება.

აქ პოეტს ჰსურს „შორით ჭვრეტა", რათა მის შემოქმედებას თავისუფალი ასპარეზი დაეთმოს; რათა სატრფოს მშვენიერების აღწერა შესძლოს, როცა მის წინ მთელი ბუნების სიმშვენიერე გადაიშლება; აქედან იგი ამოკრეფს რაც ყველაზე უფრო უმშვენიერესი და უსრულესია,

**მართება საღამო**, რომელშიაც უკანასკნელად მონაწილეობას მიიღებს **უმაგალითო** მეჩანგურე ა. სჩერბო. პროგრამა როგორც ბავშვებისათვის, ისე მოზრდილთათვის მეტად საინტერესოა".

**ჭიათურა.** ადგილობრივ დრამატიული საზოგადოება ენერგიულად ემსახურება ხელოვნებას. ყოველ კვირა ახალ-ახალი პიესები მიდის, და ერთხელაც არ უმტყუნიათ თამაშისათვის. ამ კვირას, 15 აპრილსაც ითამაშეს ვიქტორ რიშკოვის ოთხ მოქმედებიანი დრამა: „**პირველი მერცხალი**"

წარმოდგენამ მოხდენილად ჩაიარა. მშვენიერი იყო იულია უხვატოვის როლში ქ-ნი **ჯავახიშვილი.** მან თითქმის უნაკლოდ დაგვიხატა ამ გვარ ქალების სახიეილი. ის ნამდვილი, ტიპიური გამომხატველი იყო უხვატოვისა. მთელი იმისი მიხვრა-მოხვრა, გრიმი და მიმიკა ხელოვნებით აღსავსე იყო. ეს ტიპია, რუსეთის გალოთებულ „ბოსიავკა" ქალებისა. კარგი იყო ბ-ნი **აპტალიდი** ტიხონის როლში. ემჩნეოდა, რომ გულდასმით უმეცადინია. კარგი იყო იმ ალაგას, როდესაც იგი სიყვარულს უცხადებს ელენას. ბ-ნი **ბურჭულაძე** ხომ ნამდვილი ახლად დაბრუნებულ სალდათ ს მოგაგონებდათ. მან უნაკლოდ დაგვიხატა ანდრეის მისწრაფება, მთელი მისი უარყოფითი მხარეები. სავსებით დაგვიხატა ქ-მა **ლოლუამ** ელენას სულის კვეთება. კარგი იყო როდესაც ელენა ტრიხონის სიტყვებით გატაცებული შუბლზე ჰკოცნის მას. ასეთივე კარგი იყვნენ: **შალიკაშვილი**, ს. ტარუაშვილი და მითაიშვილი. არა უშავდათ რა მ. ჩხეიძეს და სიხარულიძესაც. სუსტობდა ქ-ნი ო. ოკუჯავა. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ ვერ დაესწრო. ეს რაღაც არა ჩვეულებრივი შემთხვევა იყო. კვირას სდგამენ **ნატო ჯავახიშვილის საბენეფისოდ**, ბოსინის 5 მოქ. დრამას: „**უცნობი ქალი**", თარგმანი ნარ-კანისა. **ბაი—შვილი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ნ. ს. ჯაბადარი-ქართველოვისას 1912 წ. ჟურნალ „ჯეჯილის" გამოწერისათვის ჩემდამი რწმუნებული სკოლისათვის და ჟურნალ „ნაკადული"-ს რედაქციას, რომელმაც გამოგვიგზავნა წარსული წლის ნომრები „ნაკადული"-სა 45 ცალი.

საგარეჯოს ორკლასიანი სკოლის გამგე **პ. წირქვაძე.**

**წიგნის გამომცემელი ამხანაგობა „ალიონის" საყურადღებოდ.**

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად ადგილი დაუთმოთ სახალხო გაზეთში" ამ წერილს.

აგერ ორი წელიწადია მას აქეთ, რაც რომ წიგნის გამომცემელ ამხანაგობამ „ალიონმა" ხელის მოწერა გამამართვინა ახალციხეში თითო მანეთის გადასახადით შემდეგ წიგნებზე: 1. კ. კაუცკის „მარქსის ეკონომიური მოძღვრება", 2, ი. გომართელის „ადამიანის ნება და ზნეობა"; 3, ან. ერისთავ-ხოშტარიას „ბედის ტრიალი" (რომანი) და „ეკლესიის გარშემო" (მოთხრობა, ორივე წიგნი ერთად) სულ ოცდა ცხრას უნდა მოსვლოდა ხსენებული გამოცემები და დღემდე ვერ გამოვიდა და ვერ მიიღეს ვერავინ.

ამის გამო დაშინდა რა ხალხი და ველარ ბედავენ სხვა წიგნებზე ხელის მოწერას, ამ გადახდილ ფულებსაც მაინც არ ეყრებიან ჩვენი ხელმომწერლები, და მთხოვენ მე, როგორც „ალიონის" ნაგენტარს, რათა ფული დაუბრუნო მათ უკანვე, როდესაც წიგნები ვერ მიიღეს. იმასაც კი მეუბნევიან ზოგიერთები, რომ ვითომ არ წარმედგინოს ფული დანიშნულებისამებრ და შემეჭამოს მე. რაოდენიმე პირი კიდეც დამემუქრა, ან წიგნი, ან ფული, თორემ გიჩივლებთო, ჩვენ შენ გიცნობთ და არა გადილიას „ალიონის" გამგესაო. როგორც შევიტყე, მგონია ერთ ხელმომწერს უკვე შეუტანია ადგილობრივ მომრიგებელ სასამართლოში ჩემზე საჩივარი. არ ვიცი, სწორედ რა ვქნა ამ ხელის მომწერთა წინაშე. ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვარ ჩაყენებული. ვთხოვ გამომცემელ „ალიონს", გადაჭრით გვიპასუხოს გაზეთის საშუალებით, რო იგი ველარ გამოსცემს ზემოდ ხსენებულ წიგნებს და მაშინ მეც სხვა გზას დავადგები, რომ როგორმე შევირიგო ურწმუნოთომები მაინც, რომელთაც არა სჯერათ, რომ 29 მან. გაგზავნილი მაქვს ბ. გადილიასთან და არ შემიჭამია. მაშინ ჩვენ იმათ გაუსისინებთ იმ პირზე, ვისაც შეჭმული აღმოაჩნდება იგი ფული და ჩვენ კი ვიაზატებთ სულსა.

სულ არა იყოს რა, მაშინ თამამად გავივლი ქუჩაში და აღარ შემრხცვება, იმათი რომლებიც ხშირად ფულსა მთხოვენ.

გ. ამხ. „ალიონის ნაგენტარი **კონსტანტინე გვარამაძე.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

რათა ალეგორიულად დაგვიხატოს სატრფოს მშვენება. ამ მხრივ, სხვათა შორის, უშესანიშნავესი ლექსია „ოლოლ-ოლოლ!" სადაც პოეტს არ გამოეპარა არც ერთი ლამაზი და მშვენიერი სახე სატრფოს დასადარად.

„მხოლოდ მსურს სატრფოვ, ვიტანჯო მარტო,
**რომ ეს მშვენება ავხსნა, განვმარტო**".

ამბობს ერთს ადგილას პოეტი და მართლაც მან შესძლო მშვენების ახსნა-განმარტება, მისი ცოცხლად დასურათება, მკითხველს ჰგონია—პოეტმა განვლო თავისი გზა, მან სავსებით აღწერა სრული მშვენიერება სატრფოსი, ამას იქით ველარ წავაო. მაგრამ გრიშაშვილი ყოველ ახალ ლექსში ახალ სახეებს იძლევა, ძველ მშვენიერებას ახალ, უცხო ფერადებით ჰხატავს და სურათი ყოველთვის თვალ-წარმტაცი გამოდის, ამის საიდუმლოება თვით სატრფოს მშვენიერების წიაღში იმალება, რომელიც შემოქმედების სტიმულია, მისი დაუშრეტელი წყარო. რამდენადაც უფრო დაეწაფება მას მგოსანი, იმდენად უფრო ძლიერ მოსწყურდება იგი; ბოლოს ველარ შესძლებს, ერთავად შესცურავს მის ტალღებში და იქ ჰპოვებს „მგოსნის კუბოს, მგოსნის კუბოს"...

სატრფოს არსებაში განხორციელებული პოეტი სამუდამოდ ახსნის მის უსრულეს მშვენიერებას, მაგრამ, ვაი რომ მისი ხმა ამას შემდეგ ჩვენამდე ღარ მოაღწევს! ეს შეიძლება ჩვენთვის იყოს გულსაკლავი, თორემ პოეტისათვის, რომლისათვისაც ბრბოს დახურდავებული გემოვნება უარსაყოფია, და რომელსაც ჰსურს აბსოლიუტური მშვენიერების ახსნა და განცდა,—სანატრელია და ამიტომაც იგი ამბობს:

„ახ, რად არ ძალმიძს..
„რომ შენს გულმკერდზე ვპოვო საფლავი,
უხმოდ, სამუდამოდ ზედ მივიძინო"...
(იხ. ლექსი „ვარსკვლი".

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ პოეტის ნაწარმოები გარეგნობის მხრივაც სრული სიმშვენიერეა. არა მგონია რომელიმე ახალი პოეტი ისე თავისუფლად აწყობდეს რითმებს, ისეთის ხელოვნებით სცვლიდეს, ერთს წყობას მეორეთი, როგორც ამას სჩადის ი. გრიშაშვილი. იგი ნამდვილი ვირტუოზია, რომელიც საიდანაც საჭიროდ დაინახავს, იქიდან მოუვლის ლექსს და ყოველთვის თავისუფლად გრძნობს თავს. მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა, ან კი და რა საჭიროა მაგალითი; აიღეთ რომელი ლექსიც გინდათ და თქვენ განცვიფრდებით მისი თავისუფალის, ძალ-დაუტანებელის წყობით და ფორმით.

სურათები, ეპიტეტები, ტროპები, ფიგურები, საზოგადოდ ყველა ის, რაც სრულ ჰყოფს პოეტურ შემოქმედებას ფორმის მხრივ, გრიშაშვილის პოეზიაში მუდამ ცოცხალი, მკვირცხლი და გამომეტყველია, ამიტომაცაა, რომ გრიშაშვილის კალმის ქვეშ ბუნება და მისი ყოველი, ჩვენთვის შეუმჩნეველი, მოვლენა მეტყველობს, სცოცხლობს:

„ბუჩქის ძირს.
**სოსანი სტირს**
**ეკალს მკერდი გაუწირავს..**"
(იხ. „ჰანგი")

თავისუფალი, გულადი შედარებები, რომელსაც მოკლებულია ბევრი ჩვენი პოეტი, ახასიათებს ბ-ნ გრიშაშვილს: „საღამოა...

„საღამოა... ზღვა კაშკაშებს,
იწვის ანძა, იწვის ნავი:
ხომალდს აფრა დასთამაშებს,
**ვით ქალის მკერდს თმის ნაწნავი**".

ანდა სულიერი განცდის მხატვრულად გამოხატვა... დღეს ხშირად გვესმის პოეტთა ტირილზე ლაპარაკი, ამას ძლიერ შევეჩვიეთ, მაგრამ გრიშაშვილის ტირილი განსაკუთრებული ყურადღების ღირსად იქცევა, როცა მას ასეთის მშვენიერის სურათით გამოხატავს:

„ოჰ, გადმოხურე ეგ ქუთუთო! ნუ, ნუ
მიცქერი!..
. . . . . .

ვსტირი ამოსკვნით, ვსტირი გულით, ოჰ,
ვსტირი ისე—
ვით მწყემსის ხელში საოცნებო ხის სალამური" („მე წყევლა მქვიან").

შთაბეჭდილება, წუთიერი განცდა, ხანმოკლე სურათი, რომელიც ელვასავით შემოიჭრება თქვენს თავში და უმნიშვნელოდ ჰქრება, ყველა ეს პოეტისათვის შეუმჩნეველი არ არის და ნამდვილ სახეს ღებულობს, მხატვრულად შესაძლოს, მაგრამ ლოგიკურად კი შეუძლებელს: „ხუჭუჭი ღიმილი", „სუბუქი ძილის დამსხვრევა" და სხ. მაგრამ ამ პირველ შთაბეჭდილებათა აღწერით არ გაითქვეს განა სახელი იმპრესიონისტებმა, რომლებმაც ბოლოს მთელი შკოლა შეჰქმნეს?.. ასეთს სურათებს, არა ნაძალადევს, არამედ ღრმად, მაგრამ ხან-მოკლედ განცდილს, ბევრს ნახავთ პოეტის შემოქმედებაში:

„ისე გძინავს, ვით ტბის ჰავლი ისე **ფშვინავ** სარეცელზე,
**ვით ზამბახი** საედემო აყლორტილი გაშლილ ველზე;
... დაიძინე!.. **ზღვის სიზმარი** ტუჩს ჩაგაკვდა, ვით ფარვანა;
დაიძინე!.. **ყვავილთ წვიმამ გადაგკოცნა**, გადაგბანა...
დაიძინე, ნანა... ნანა... (იხ. „ჩემი ნანა".)

თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამგვარი თავისუფალი ნავარდი ხანდისხან პოეტს უშინაარსობამდე მიიყვანს და მით შთაბეჭდილებას, რომელიც მან თავში შეჰქმნა, არღვევს. ამ გრძნობას ისიც ასუსტებს, რომ პოეტი ხშირად მარტო სურათით კმაყოფილდება, მაგრამ პირად განცდას, რომელიც მეტად საყურადღებოა, ჩრდილავს. ამის გარდა მუდამ ერთ საგანზე ლაპარაკი მას ხანდისხან ტავტოლოგიამდე მიიყვანს, მაგ.: „გოდებს, მოსთქვამს, ღ **ცრემლს**, ცის ნამს მდელოს აკმევს, **ცრემლებით** რწყავს". თუ ცრემლს აკმევს, ცხადია რომ ცრემლებით რწყავს... ეს უბრალო ნაკლია, რომელსაც ნიჭიერი პოეტი, იმედი უნდა ვიქონიოთ, თანდისთანის დაკვირვებით, გაასწორებს... **აკაკი პაპავა.**

## გამოსადეგი ცნობა

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| —5 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715) |

### გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

**რუსეთის საზოგადოებისა.**

**ბათომიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაივლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

## განცხადებანი


# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606" —11—12 ს. შეზხაპუნება **კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები ორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორიბ. **ა. ნ ვასარდიანი.**
(წ. 1074.60)


**ღია წერილი ავლაბრის ნიკოლოზის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს გიორგი დავითის ძე კუპარაშვილს.**

ბატონო გიორგი დავითის ძე! 1897 წელს 12 ოქტომბერს მამაჩემმა გიორგი ბრეგაძემ იყიდა მამათქვენისგან მამული მდებარე სოფელს ცუცხვათში, რაშიაც ნაღდად მოგცათ 1500 მანეთი. მას შემდეგ აგერ თექვსმეტი წელია ჩვენ (ე. ი. მამაჩემი 1905 წლამდე და მისი გარდაცვალების შემდეგ მე) ვფლობთ, რაც შემიძლიან დავამტკიცო მთელი ცუცხვათის მცხოვრებლებით. იმ ფულით სამოსწავლო ინსტიტუტი დაამთავრე, მერე ნასწავლმა და წელში გამართულმა მასწავლებლობას მიჰყე ხელი; ფული იშოვნე, გამდიდრდი და ეხლა წელში გამართული მომდგომიხარ და ამ გამოყიდულ ადგილების ჩამორთმევას მიპირებ. რას ეუბნები ან ჩემს სილარიბეს ან ცირეკიძეებისას და უმეტეს იმ შენ მეგობრებს, რომლებიც პატიოსან კაცად გთვლიან. ბალაჯარიდან ტფილისში ჩამოვედი რომ ჩემი ყურებით გამეგონა და ჩემი თვალებით მენახა შენი საქციელი, რადგან გაგონილს ვერ დაუჯერე: რას ეუბნები იმ ცირეკიძეებს, რომლებსაც ფულიც მოუციათ, ოცი წელია იმ მამულით სულს იბრუნებენ და არც ერთი საბუთის ქაღალდი არა აქვთ. მამაშენს ენდვენენ სიტყვით, როგორც პატიოსან კაცს, შენ კი ამბობ—მამაჩემი გადარეულიაო.

ბალაჯარის ბაგაუნი კასირი **გერასიმე გიორგის ძე ბრეგაძე.**
(1.382.)


# უდიდესი საჩუქარი

**მთელს სიცოცხლეში ერთხელ!!!**

**600 ნივთი მხოლოდ 5 მ.**

1. **მშვენიერი საათი-ანკერ** სწორედ მოსიარულე, ექვსი წლის თავდებობით.
2. **საუცხოო საქალებო ბეჭედი,** ამერიკულ ბრილიანტით.
3. **ჩინებული მანიაკი,** მრავალ აღმოსავლ. მარგალიტებით და პატენტ. შესაკრავით.
4. **მოხდენილი და ლაზათიანი ქალის სამაჯური** ამერიკულ ოქროსი „დუბლე", მშვ. ამერიკ. ბრილ.
5. **ჯიბის ლამაზი „ნესესერი"** ოთხის ნივთით.
6. **ერთი წყვილი საყურე** საუცხოვო ამერიკულ ბრილიანტით და პატარა შესაკრავი.
7. **მშვენიერი და ლაზათიანი** ტყავის საფულე.
8. **ალბომი 50 საყურადღებო სანახაობით.**
9. **მუშტუკი-აპარატი ექიმ კოხისა,** თუთუნის მავნებლობის ამცილებელი.
10. **მექანიკ. დასაკეცი მაკრატელი** მშვენიერის ბუდით.
11. **და კიდევ 500 მეტი სხვა საგულისხმო და სასარგებლო ნივთი.**

სულ, 600 ნივთში, საათიანად მხოლოდ 5 მან. (მხოლოდ საათი ღირს ამ ფასად).

ვინც ერთიდან სამ წყვილს მაინც დაიბარებს, გასაგზავნ ხარჯად იხდის 55 კაპ., ციმბირში კი—95 კაპ.

მისამართი: О-ву „Меркурій". Лодзь, М. 5. თუ არ მოიწონებთ, ფულს უკანვე დაგიბრუნებთ.

Метель и Ко. 1920. (4—1209—1)



„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია".

1890 წ. დაარსებული.

**ოქროს მედალი პარიზისა 1900 წ.**

# „საპონი გაშლილი ია"




გლიცერინის საპონი „გაშლილი ია" ახალმოგლეჯილი იის სუნის სრული შთაბეჭდილება [illegible]

(23—293—9)



**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. ბაბაშვილისა.

**ექიმი კბილისა ნინო რუხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილით 10-? ს.-მდე და საღამოს [illegible] ქუჩა, [illegible] № 5.

**ტექნიკური საქმეები**

გეგმები, ხარჯთ-აღრიცხვები, (პროექტები სმეტები სადაც საჭიროა დამტკიცებით), ყოველგვარ შენობების აგება, გადაკეთება, სასმელ წყლებისა და სარწყავების გაყვანა, გამოანგარიშება სამუშაოებისა.

ადგილების გეგმის აღება, დამიჯვნა, დაყოფა, დაზომვა. შედგენა საქმის ქაღალდებისა, მამულების დაზღვევა და დაგირავება.

**ვერის დაღმართი.** № ტელეფ. № 69.

(7.370.2) **წერილობით**—Технику Піоралз

# ყოველ-დღე მოგვდის:

**ახალ-ახალი** ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—41)

# თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.**

# ვაჭრობისა და მრეწველობის სამინ სტრო

**ტფილისის № 24 საწყაოსი და სასწორისა შემმოწმებელი**

# პ ა ლ ა ტ ა

(მიხეილის პროსპ. № 116)

აცხადებს, რომ, ვაჭრობის მე-748 და 758 მუხლის თანახმად, ყველა საწყაოს, საწონს და საზომ უნდა დასმული ჰ ონდეს შემმოწმებელის პალატის ბეჭედი.

**ამ ბეჭედს ძალა აქვს სამი წლის განმავლობაში.**

ამიტომ პალატა სთხოვს სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს, აფთიაქის, საწყობის, ფაბრიკების, ქარხნების, კანტორების, ბანკების პატრონების და სხვა კერძო, საზოგადოებრივ და სახაზინო დაწესებულებებს, წარმოადგინონ ყველა საწონი, საწონის ქვები, საყენები, არშინები, ღვინის, სპირტის, არყის, ლუდის და რძის საწყაოები; ბოჭკების წყლისა, ლუდისა, არყისა და სხვა ე. ი. ყველაფერი, რითაც იწყვება და იწონება.

ბეჭდიანი თუ უბეჭდო 1909 წლამდე და ამ წლისაც ბეჭდების დასასმელად ზოგი ახლად, ზოგსაც ხელ-მეორედ. ვინც ამას არ შეასრულებს ვადის გათავებამდე, რევიზიის დროს იმნაირ ბეჭდიანი, თუ უბეჭდო ჩამოერთმევა ყველა საწყო, საწონი და საზომი და პასუხის-გებაში იქნება მიცემული სასჯელთა დებულების მე-1 76 მუხლის ძალით. საწყაო, საზომი და საწონი სწორედ უნდა იყოს წინააღმდეგ შემთხვევაში ბეჭედი არ დაეკვრება.

**შეტანილი გადასახადიც არ იქნება დაბრუნებული.**

ვადები ტფილისისათვის 1912 წელს:
იანვარისა და თებერვალში—1, 2, 3 და 4 ნაწილები.
თებერვალში და მარტში—5, 6, და 8 ნაწილები.
მარტში და აპრილში—9, 10, 11 და 12 ნაწილები.

შემდეგ ადგილებისათვის, სადაც შემოწმებული გაიგზავნება: აპრილში: ანაკლია, გუდავა, გალი, ოჩემჩირი, ახ.-სენაკი, ძველი სენაკი, ნაოლალევი და ბანზა. მაისში: სოხუმი, გუდაუთი, ართვინი, არდანოჩი, ბორჩხა და მარადიდი. თიბათვეში: ქუთაისი, ლანჩხუთი, სუპსა და ჯუმათი. მკათათვეში: ვორონცოვკა, დუელალ-ოღლი და ალავერდი. მარიამობისთვეში: ახალციხე, ახალქალაქი, ახალ-მაჩხაანი, ცარსკი კოლოდცი და ლაგოდეხი. ენკენისთვეში: ბათომში, ველისციხე და ენისელი.

(1·1220.1) იანვარი 1912 წ. პალატის გამგე **ა. რეზვიაკოვი.**

# იმერული შამპანიური ღ ვ ი ნ ო ე ბ ი,

**ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა** ქუთაისში.

„კ ო ლ ხ ი დ ა" და „თ ა მ ა რ ა"

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) **ვაგზლის ქუჩაზე. ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37—46.8)

1-ლი წელიწადი გამოცემისა

**1912 წ.** # მიიღება ხელის მოწერა **1912 წ.**

მთელს რუსეთში ერთად-ერთ ყოველთვიურ, საპოლიტიკო, სალიტერატურო, საეკონომიო და საზოგადოებრივ გაზეთზე,

# „რიურაჟი დაღისტანისა"

(ЗАРЯ ДАГЕСТАНА)

რუსულსა და ყაზი-ყუმუხურ ენაზე. ჟურნალი ემსახურება დაღესტნისა და საზოგადოდ კავკასიის მთიულთა ინტერესებს.

ხელის მოწერა მიიღება: **პეტერბურგში** Пушкинская 7, кв. 33., **კავკავში**—Краснорядская, магазинъ А. Габіева, **პეტროვსკში**—магазинъ Омаровыхъ, **ბაქოში**—Цицiановская, у Хурукринцевъ, **თემირ-ხანშურაში**—номера г. Чарина. **კუმუხში, ტფილისში** маг. Оргобутаева. Армянскій базаръ. **ხასავიურტსა** და **დარუბანდში** რკინ. გზის სადგურის კიოსკებში. ხელის მოწერა ღირს წლის დამლევამდე 2 მან., მოწაფეთათვის—1 მ. 50 კაპ.

ჟურნალი თითო ნომრობითაც გაიყიდება: ტფილისში, ბაქოში, დარუბანდში, პეტეროვსკაში, თემინხანშურში, კავკავში, ახტსა, ცუდახარსა, კუბასა, ხასავიურტსა და სხვაგან. (3—1215—1) რედაქტორ-გამომცემელი **საიდ გაბიევი.**

# ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იხყიდება ქართველი მწერლების შემდეგი ლექსები და პოემები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| არჩილ მეფე. ცხოვ. მეფე თეიმურაზ პირველისა | 50 კ. | ორბ. „ ვახტანგ | 60 „ |
| ბარათაშვილი. ლექსები. გამოც. მერკვილაძისა | 40 „ | „ ნინო | 30 „ |
| ბაჩანა. დიაკვნიანი | 20 „ | „ოჰ, მარგალიტავ" და სხ. სასიმღ. | 10 „ |
| ბესიკი. ლექსები | 30 „ | პატარა კრებული საუკეთესო ლექსებისა | 15 „ |
| განდეგილი. ლექსები | 50 „ | პოემების კრებული | 5 „ |
| გრიშაშვილი. ოცნების კოცნა | 10 „ | რაზიკაშვილი ნ. დაბადება და აღზრდა მეფე ერეკლესი. პოემა | 15 „ |
| გურამიშვილი. დავითიანი | 1 მ. | სილოვანი. ჩემი აზრი და ფიქრები № 1. | 20 „ |
| გურიელი მამია თხზ. | 1 „ | „ ცხოვრ. სურათები № 2. | 20 „ |
| დადიანი ნ. ტ. საამდროვო გამოცანები | 15 კ. | „ აღსარება № 3. | 5 „ |
| დუტუ-მეგრელი I | 70 „ | „ ლექსები 1878—1891. | 50 „ |
| [illegible] | | [illegible] | |

ф. Тифлисъ. О-во распространенія грамотности (წ.—1141—29)